უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 23

2017 წ. "21" 09

ქ.თბილისი

„შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - სთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 1 სექტემბრის №28 გადაწყვეტილებაში და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტების ათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგი	მეხუთე	ბაგა-ბაღის აღმზრდელ პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	117	147	ქართული ენა	100	ქ. თბილისი რუსთაველის გზატკეცილი №18/22
2	შემფასებელი	მეხუთე	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	128	158	ქართული ენა	50	ქ. თბილისი რუსთაველის გზატკეცილი №18/22
3	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორი	მეოთხე	სატრანსპორტო ლოგისტიკის ოპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	109		ქართული ენა	60	ქ. თბილისი რუსთაველის გზატკეცილი №18/22
4	საბაჟო საქმის სპეციალისტი	მეხუთე	საბაჟო საქმის სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	105	135	ქართული ენა	65	ქ. თბილისი რუსთაველის გზატკეცილი №18/22

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის მე-8 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
თუთა ნარმანია